ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ზიჩის ქუჩა № 4



თბილისი

2019, ივლისი

საკვლევი ობიექტი მთაწმინდის კალთაზე, თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ - მთაწმინდის უბანში, ყოფილი „პარალელისა“ და სასამართლოს (ვახტანგ კოტეტიშვილისა და ძმები ზუბალაშვილების) ქუჩებს შორის, ზიჩის №4-ში მდებარეობს.

მთაწმინდის ურბანული განაშენიანება XIX საუკუნის შუა ხანებიდან განვითრდა. მანამდე აქ სანახები და ბაღები იყო გაშენებული, რასაც ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაც ადასტურებს.



“ამ უბანს ადგილობრივი მოსახლეობა მთაწმინდას ეძახდა, ოფიციალურად კი იგი, როგორც თბილისის ადმინისტრაციული ნაწილი, შედიოდა ქალაქის მეორე საპოლიციო უბანში და ერქვა: “Св. Давидовский участок“ (План г.Тифлиса с окрестностями. г.Тифлис, 1884). 1907 წელს შედგენილ თბილისის გზამკვლევში დაბეჭდილ თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულთა სიაში იგი ასეა მოხსენიებული: “2–й полицейский участок (Свято- Давидовский) – склон горы Св.Давида, вверх от Головинского проспекта”. მთაწმინდის უბანს სამხრეთიდან ესაზღვრება – სოლოლაკი, ჩრდილოეთიდან – ვერე, აღმოსავლეთიდან – შოთა რუსთაველის პროსპექტი, დასავლეთიდან – მთაწმინდის მთა. სახელი მიიღო IX-X საუკუნეებში ქრისტიანური რელიგიის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სავანის – ათონის მთის (წმინდა მთა) მიხედვით. გადმოცემით, VI საუკუნეში მთის

კალთაზე სენაკი გამოუქვაბავს ერთ–ერთ ასურელ მამას – დავითს (დავითი გარეჯელი), სწორედ მას უკავშირდება მთაწმინდის მეორე სახელწოდება – “მამადავითის მთა“ (მთაწმინდა ზოგჯერ “განდეგილის მთის“ სახელწოდებითაც იხსენიება). მთაწმინდა დატანილია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე (სურ. 2). მთაწმინდის ფერდობი განსაკუთრებით მჭიდროდ ყოფილა დასახლებული გვიანდელი ბრინჯაოს – ადრინდელი რკინის, აგრეთვე ანტიკურ ხანაში. IX საუკუნეში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა. მის ადგილას 1542 წელს წმ.დავითის მონასტერი ააშენეს. ახლანდელი ეკლესია აგებულია 1871 წელს, გუმბათი კი მას მხოლოდ 1879 წელს დაადგეს”



XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მთაწმინდის უბანი ძირითადად ბურჟუაზიული საზოგადოება სახლობდა. ამან განაპირობა უბნის არქიტექტურული სახეც. მისთვის დამახასიათებელია მსხვილმასშტაბიანი, ძირითადად კლასიცისტური სტილის შენობები, რომელთაც ევროპული სტილის „თბილისურად“ გადამუშავებული ნაგებობები და ტიპიურად თბილისური სახლები ენაცვლება. როგორც ძველი თბილისის ისტორიულ პანორამაზე ჩანს, ეს მიკროუბანი XX საუკუნის დასაწყისში მჭიდროდ იყო განაშენიანებლი და ტიპურად „თბილისურ” ხასიათს ატარებდა.



განაშენიანება ორ-სამსართულიანი იყო, ხოლო მიკროუბნის გარე პერიმეტრზე შედარებით მასშტაბური ევროპული ქალაქისთვის სახასიათო სამ-ოთხ სართულიანი ნაგებობებით იყო მოსაზღვრული. სამწუხაროდ, 90-იან წლებში თბილისში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ამ მიკროუბანში რამდენიმე ნაგებობა განადგურდა და მათ ნაცვლად ცარიელი სივრცე – ურბანული ლაკუნა შეიქმნა. ამასთან, დროის გავლენით რიგმა ნაგებობებმა დაკარგა ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება. ამჟამად უბანში რამდენიმე ძეგლი – შენობაა ფიქსირებული.



მთაწმინდის უბნის ამ მონაკვეთის განაშენიანების ხასიათს დიდწილად მისი მთაგორიანი რელიეფი და მრუდხაზოვან ქუჩათა ქსელი განსაზღვრავს. როგორც 1913 წლის რუკაზე ჩანს XX საუკუნის დასაწყისში რეგულარულად დაგეგმარებული ქუჩათა ქსელი მთაწმინდის უბნის ზედა ნაწილში "გადასასვლელ" ქუჩამდე აღწევდა. უბანში დღემდეა შემორჩენილი ტიპიური თბილისური ხის აივნიანი სახლები, თუმცა კერძოდ, ზიჩის ქუჩის მიმდებარე განაშენიანება XIX საუკუნის კლასიცისტურ-ამპირული სტილის სახლებისაგან შედგება.





მჭიდრო განაშენიანების ზოლში, ზიჩის ქუჩის შუაწელზე არსებული ამჟამად ცარიელ მიწის ნაკვეთზე რომელიც ორ-სამ სართულიან სახლებს შორის არის განთავსებული. დამტკიცებული პროექტის მიხედვით საცხოვრებელი სახლის კვლავაგებაა განზრახული. ამ მოცულობამ მთლიანად უნდა შეავსოს ზიჩის ქუჩაზე ამჟამად არსებული სიცარიელე და გაამთლიანოს ერთ-ერთი ღირებული ისტორიული ქუჩის განაშენიანება.





საკვლევი ობიექტი ზიჩის ქუჩის №4 დაბალი, ორსართულიანი რულარული ტიპის სახლია, რომელსაც საკმაოდ სათუოდ აქვს მინიჭებული ძეგლის სტატუსი. ნაგებობა მართალია, შეიცავს მეცხრამეტე საუკუნის შუა წლების საცხოვრისის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, როგორიც არის: ღიობების მორკალური თავსართები, ხის კვეთილი სადარბაზო კარი და აგურის დეკორატიული წყობით გამოყვანილი პარაპეტი, მაგრამ მთლიანობაში ის მაინც არაქალაქური ტიპის ნაგებობაა, რომელიც სავარაუდოდ უფრო კალატოზი-ოსტატის თვითშემოქმედების ნიმუშია, თუმცა გარკვეულწილად გააჩნია "პრიმიტივისტული" შემოქმედებისათვის სახასიათო მომხიბვლელობა.







ეზოს მხარეს სახლი რუსული Г ფორმით ვითარდება და თბილისური შუშაბანდებით არის (იყო) გაფორმებული. დღევანდელი მდგომარეობით, ძეგლის ეზოს ნაწილი ნახევრად რუინირებულია და ხის შუშაბანდები სრულიად ამორტიზირებულია. შუშაბანდების ნახატში არ იკვეთება ჭვირულად დამუშავებული დეკორატიული ელემენტები.







გარდა უმძიმესი ფიზიკური მდგომარეობისა, სახლის სანიტარული ვითარებაც საგანგაშოა, რადგანაც მასში მცხოვრები ადამიანი, ასე ვთქვათ, ცხოველების "თავშესაფარის" მფლობელია, რაც ბნელ და დაულაგებელ საცხოვრებელ ოთახებში, ასობით სხვადასხვა ცხოველის გალიებში გამოკეტვით დასტურდება.





გარდა ამ უცნაური და შეუსაბამო შინაარსისა, ძეგლ;ის შიდა სივრცე ისედაც სრულიად სახეცვლილია და დაკარგულია აქვს აუთენტური ღირებულება.





ზიჩის №4-ის ეზოს ნაწილი მთლიანად დაბურულია მწვანე ნარგავებით, რომელთაგან უმეტესობა ველურად არის ამოსული, თუმცა არის მრავალწლიანი ხეც.



ეზოს სივრცე ქუჩიდან ღობით არის მოსაზღვრული, ხოლო მის გასწვრივ მოედნის ტიპის ცარიელი სივრცე იშლება, რომელიც ზიჩის ქუჩის განაშენიანების კიდეში არის მოქცეული. “მოედანი” ყველა მხრიდან შუშაბანდებიანი სახლებით არის გარემოცული, რაც სავარაუდოდ იმის მანიშნებელია, რომ ამ მიწის ნაკვეთზე, ან შენობა იდგა, ან განზრახული იყო მშენებლობა, რასაც ადასტურებს ე.წ. ქალაქის მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის პლანშეტები, რომლებზედაც კარგად ჩანს, რომ ეს მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ იყო განკუთვნილი



თავად ზიჩის №4-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამი მფლობელი ფიქსირდება, ხოლო ქვემოდან ამომავალი ქუჩაბანდი სწორედ ამ ნაკვეთის შუა ნაწილს ადგება. დღეისმდგომარეობით ვრცელი ეზო ცარიელია, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მასზე ადრე შესაბამისი ფორმის განაშენიანება არსებობდა.



უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მიწის ნაკვეთი ცარიელია და მასზე ელექტროდენის ტრანსფორმატორი ფიქსირდება. დღეს ეს ტრანსფორმატორი ღობის გარეთ არის გატანილი.



უკანასკნელ პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ რამდენიმე რეკონსტრუქცია და ახალმშენებლობა განხორციელდა, რომელთა სიმაღლე სამი+ სართულს არ აღემატება.





დასკვნა-რეკომენდაცია

ზიჩის ქუჩის №4-ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეკონსტრუქცია აუცილებელია შენობის უკიდურესად მძიმე ფიზიკური მდგომარეობის და დეგრადირებული შიდა სივრცის გამო.

ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის - ვრცელი ეზოს განვითარება შესაძლებლად მიმაჩნია კვლევაში მითითებულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით და მიმდებარე განაშენიანების მასშტაბის გათვალისწინებით, კერძოდ:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რუინირებული ნაწილების დაშლა და კვლავაღდგენა უნდა მოხდეს სარესტავრაციო-საკონსერვაციო მეთოდოლოგიის გამოყენებით, ზუსტად შესრულებული ანაზომებისა და შაბლონების მიხედვით.
- ძეგლის ღირებული ელემენტები - ხის კარი და ლითონის აივანი, უნდა დასაწყობდეს და გარესტავრირდეს კვლავაგებულ მოცულობაზე დაბრუნების მიზნით.
- ძეგლის აღდგენილ, კონსტრუქციულად გამაგრებულ მოცულობაზე შესაძლებლად მიმაჩნია შიდა მხარეს სართულის და მანსარდის დამატება, რადგანაც ეს ნაწილი ნაკვეთის სიღრმეში მდებარეობს და სიმაღლის ასეთი მატება მიესადაგება ზიჩის ქუჩის ისტორიული განაშენიანების არსებულ მასშტაბს.
- ძეგლის ქუჩის მხარეს მიმართული ორსართულიანი ნაწილის სიმაღლის მატება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია მიმდებარე ორსართულიანი სახლის არსებობის გამო.
- ძეგლის ეზოს ნაწილში იდენტური Г ფორმის თანამედროვე ნაწილის დაპროექტება შესაძლებელია მიწის ნაკვეთის ფართის და გეგმარებითი თავისებურების გათვალისწინებით, რადგან მის შემდეგ ვრცელი პაუზა "მოედანი" არსებობს და ამგვარი შევსება არ ეწინააღმდეგება ზიჩის ქუჩის ისტორიული განაშენიანების მორფოლოგიას.
- ახალი ნაწილის სიმაღლე სასურველია იყოს მიკროუბნის ახლად რეკონსტრუირებული მოცულობების, მსგავსი სამი ან სამი+.

- ახალი მოცულობის საფასადე გადაწყვეტა უნდა იყოს ფონური, არა აქტიური, ისეთი იერსახის, რომელიც არ დაუპირისპირდება ქუჩის ისტორიულ განაშენიანებას.
- ახალი მოცულობის გადახურვა უნდა მოექცეს ტრადიციული ფორმის სახურავში და დაიფაროს ჟანგისფერი ლითონის ფაქტურით.
- რეკონსტრუირებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და თანამედროვე მოცულობას შორის უნდა დარჩეს ღია სივრცითი მონაკვეთი – ეზო, რომელიც ზუსტად მიესადაგება ძველად არსებული ქუჩის გასასვლელის ადგილს და ამით მიანიშნებს ძველ გეგმარებაზე.



ლალი ანდრონიკაშვილი
ხელოვნებათმცოდნე